# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 80 | F 8/N234 | ოთხშაბათი, 1 იანვარი 1903 წ. | გაზეთის № 2029.



მშვიდობა მოსვლასა შენსა!—კარანდაშით ნახატი ო. შმერლინგისა.

* * *

მოწოდება

მომავსლოვდი, ჩემო პატარავ,
გულისა კარი შენთვის მაქვს ღია;
შენ უვავილი ხარ, ჯერ გაუშლელი,
და ჩემი მკერდი შენი ბაღია.

არ მოგაკლდება მზისა სხივები,
დილისა ნამი გიმარგალიტებს,
ყინვა ვერ დაგზრავს და ქარიშხალიც
ვერ შეეხება შენს ქორფა კვირტებს.

ღამეს დღედ გიქცევ, ცხოვრების წყვდიადს
გაგიცისკროვნებ, ვით განთიადი,

ფეხქვეშ გაშლილი გექნება მუდამ
შენსავით ქორფა ია და ვარდი.

აქ ნახავ მერცხალს, ტურფა იადონს,
ველს გადაშლილსა და ცისარტყელას,
აქ ბუჩქთა შორის ხტუნვა-ნავარდით
დაიჭერ ხოლმე ლამაზ ჰეჰელას.

სხვა რაღა გინდა, ჩემო პატარავ?
არ გაცდევინებ შიმშილს და წყურვილს,
სულს შემოგწირავ, შემოგევლები,
დავიკანონებ შენს ნება-სურვილს.

პასუხი

ვერ მოგენდობი, ჩემო მგოსანო,
ცვალებადია ეგ შენი გული;
მანდ ორივ ბუდობს—ცის ანგელოსი
და თვით დემონი აღშფოთებული.

შენი ოცნება მაშინ ედემობს,
თუ ანგელოსმა მისკენ ჰქნ. პირი,
და თუ დემონმა ფრთები შეახო,—
უნაყოფოა, უდაბნო მწირი.

გავძლებ უმზეოდ, უვარდ-უვავილოდ,
ვერას დამაკლებს ყინვა და ქარი ..
და შენგან რისხვის ცვარიც რომ მომხვდეს,
ისე წამლეკავს, ვით ნიაღვარი.

ვერა, მგოსანო, ვერ მოგენდობი,
ცვალებადია ეგ შენი გული:
მცირე ნიავზეც აბობოქრდება
თვით ოკეანო, დაწყნარებული.

მოწოდება

ჩემო პატარავ, ნუ გეშინია,
გირჩევ მოენდო ჩემს მშფოთვარე გულს,
უშფოთველია მხოლოდ სამარე
და იქ ვერც ჰპოვებ ცოცხალ სიყვარულს.

ნუ გეყვარება ერთფეროვნება,
სადაც ყველაფერს უძრავად სძინავს!
მზე დიდი არის, მაგრამ ხან-და-ხან
მცირე ღრუბელიც წუთით დაჩრდილავს.

ბუნებას მოსწონს სხვა-და-სხვაობა,
თითონ კი არის მარად უცვლელი...
და მგოსანი ხომ მისი შვილია!
ჩემო პატარავ, მომეცი ხელი!

განდეგილი

# ახალი წელიწადი

ედმონდ დე-ამიჩისა.

ჭაბუკი.

მშვიდობა შენდა, ახალო წელიწადო! ჩვენთვის ახალი წელიწადი მეგობარია, იგი უთვალავ საჩუქრებსა და ოქროს იმედებს გვიქადის.

შენ დამიმშვენებ ულვაშებს, მომიმატებ სიმაღლეს და განმათავისუფლებ ბერძნულისა და ლათინურისაგან. შენ დასაწყისი ხარ ახალის საუკუნისა, „ჩვენის საუკუნისა“. ის, რომელიც შენზე წინად გამოგვესალმა, ძველის თაობის საუკუნე იყო; ჩვენი საუკუნე მომავალშია, იგი შორს მოსჩანს, საიდუმლო ქვეყანაა, სადაც ყველა ჩვენგანი საკუთარ სამეფოს შექმნას ეცდება.

იმედი მაქვს, რომ მომავალ საუკუნის ნახევრამდე ვიცხოვრებ; ვინ იცის, იქნებ ამ დროს ქვეყნის გამგე და მბრძანებელიც შევიქმნე!

ოჰ, საბრალო მოხუცნო, თქვენ ხომ ვერ მოესწრებით ყველა ამას! ჩვენ განვაახლებთ ლიტერატურას, გარდავქმნით ხელოვნებას, წინ წავწევთ მეცნიერებას; ოცდა ათ წელიწადში გავაკეთებთ იმაზე მეტს, რაც წინად სამას წელიწადს გაკეთებულა.



დამის ფერია.

ყველა სენს მალამოს გამოვუძებნით, სამგზავრო საგნად ღრუბელთა სიმაღლეს და ოკეანეთა სიღრმეს გავიხდით, მოვისმენთ ახალ მუსიკას, შევძლებთ ევროპის ერთის კუთხიდან მეორე კუთხეში მყოფ მეგობართან გამოლაპარაკებას, ერთ დღეღამეს ტურინიდან რეჯიოში გადასვლას. იმდენ სასწაულს მოვახდენთ, რომ მოხუცთა საუკუნე მომავალთან შედარებით ყველას თხუნელისა და კუსს საუკუნედ ეჩვენოს.

მაშ, დასწერე ანდერძი, ძველო საუკუნევ, მოემზადე საქმისა და დღესასწაულისათვის, ახალგაზრდა მემკვიდრევ! შენ-კი, ახალო წელო, ელვასავით განვლე ცხოვრების ტალღა, რომელიც ადთქმის ქვეყნის ძებნაში ზღუდეებს ეხლება, შფოთავს და ბობოქრობს!

მოხუცი.

ახალი წელიწადი! ამ დღეს ახალგაზრდობა ღიმილით გაჰყურებს მომავალს, როგორც მწვერვალიდან მგზავრი — მოწმენდილ ცის კიდურს. აი, იგი ეგებება კიდეც ახალ საუკუნეს. მე-კი გონებით გაურბივარ იმ საუკუნეს, რომლის ზღრუბლზედაც, კარგად ვიცი, სიკვდილი მომელის. ან-კი რა საქმე მაქვს ახალთან, როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ საუკუნის აღმოჩენანი და ნამოქმედარნი, დიად ნიჭის საზღაპრო ნაწარმოებნი არრას შემმატებენ! ვიცი ის, რომ ახლად შობილი წელიწადი უფრო დამიჩლუნგებს მხედველობასა და მეხსიერებას, უფრო ამიკანკალებს მუხლებს, წელში მომხრის და უკანასკნელ, დამჭკნარ ფოთლებს დააყრევინებს ჩემ ოცნების ხეს. ჭაბუკებს იგი ჯადოქარ მეფედ მიაჩნიათ, მე კი — სატუსაღოს წარბ-შეკრულ დარაჯად. არავითარ სიკეთეს არ მოველი იმისაგან,—პირ-იქით, მეშინიან სასიკვდილოდ დაკოდვისა. და, თუ ასეთი ბედი მომელის, ერთად-ერთ მოწყალებასა ვთხოვ ახალ საუკუნეს: ისე მიდოსტაქროს, ისე დამცეს მახვილი, რომ ხელ დ მომილოს ბოლო, ვითარცა მეომარს ბრძოლის ველზე. აი, თუ ამ მოწყალებას მიზამ, მოდი, ახალო წელო! დეე, მოვკვდე ჩემ საუკუნესთან ერთად, რომ ვერა ვნახო ახალ საუკუნის სახე.

თხუთმეტის წლის ქალწული.

სალამი, ახალო წელიწადო! ვგრძნობ, რომ საუკეთესო დრო იქნები ჩემთვის; ამ დროს „ქალის სულს,—როგორც „დანიშნულებ“-შია ნათქვამი (ეს ერთად ერთი რომანი მაქვს წაკითხული),—ეპატრონება საიდუმლო ძალა, რომელიც ზრდის, ალამაზებს და აძლიერებს იმის თვისებებს, აზრს, სურვილს“. შენ მომანიჭებ სანატრელ კოცნას; ამ კოცნისაგან გაიღვიძებს მთელი ჩემი ბუნება, გაიფურჩქნება და გაიშლება, როგორც ვარდი მზის სხივებისაგან, ჩემი სილამაზე; იგივე მაღირსებს სხვების ყურადღებას, ტკბილ ღიმილს და გულის გამხარებელ ოცნებას. მოდი, მოდი, დაამთავრე ბუნების ხელით დაწყებული საქმე!

გელი, მთლად აკანკალებული, როგორც ის გრძნობა შესხმული, დაუმთავრებელი ქანდაკება, რომელიც ხელოვან არტისტს მოელის: ამ არტისტმა უნდა დაამთავროს და დაამშვენოს. ყოველი შენი დღე უფრო და უფრო შემაყვარებს სარკეს, უფრო და უფრო ამაყად დამიწყებენ ცქერას ჩემი მშობლები. ეხლა ბავშვი ვარ, სტუმარო, როდესაც წახვალ— დედაკაცი ვიქნები. ვინ იცის, იქნებ იმ წამოსასხამ ქვეშ, რომელიც მხატვრებმა მხრებზე გადაგაფარეს, ინახავ ოქროს ბეჭედს! იქნებ გამოსალმებამდე ამ ბეჭდით თითიც დამიმშვენო....

თუ ასეა, ჩემთვის ახალი საუკუნე, ძვირფასო სტუმარო, შენით დაიწყება. მაშ იცოდე, შენს ძმებში ყველაზე მშვენიერი და უძვირფასესი შენ იქმნები ჩემთვის!

### ოცდა ათის წლის ქალწული.

ერთმა წელიწადმა კიდევ გაიარა, ერთი ყვავილი კიდევ მოსწყდა ჩემის სიჭაბუკის თაიგულს, ერთმა ფრთოსანმა კიდევ აიფთხრიალა ჩემის ოცნების ბუდიდან!.. არაფრადა ღირს თვით სიყვარულით აღსავსე გულიც-კი, თუ იგი ოქროს სხივებით არა ბრწყინავს. მამაკაცი ისე ჩაივლის ხოლმე, რომ ვერც-კი ამჩნევს; ვერა ჰხედავს დაფარულ და დამალულ ღირსებებს. იმას თვალ წინ მხოლოდ სილამაზე და სიმდიდრე უდგა; პირველი ორ-სამ წელიწადს დაათრობს, მეორე — არსებობის ბრძოლას გაუადვილებს და დიდების გზას გაუკაფავს.

ჩემი ახალგაზრდობა-კი სჭკნება უსიყვარულოდ და უსიხარულოდ. ეს გარემოება საიდუმლოდ ჰღრღნის ჩემ თავმოყვარეობას და აღონებს იმათ, ვისაც უყვარვარ. ასევე გაივლი შენ, ახალო წელიწადო! არც ერთი გული არ შეუდგება ჩემის გულის ძებნას. ჰაერი სავსეა სიყვარულის ჰანგებით, მაგრამ არც ერთი ბაგე არ წარმოსთქვამს ჩემს სახელს, არავინ დამაიმედებს, არავინ მეტყვის, რომ დედის გვირგვინი ღმერთს ჩემთვისაც შეუქმნია. დიაღ, ცივი და ბნელი წელიწადი მომელის. ვინ იცის, იქნებ გვერდით ჩამიარა ადამიანთა მდინარემ, სადაც ჩემი მონათესავე გული იყო? იქნებ მიწოდებდა იგი? ან იქნება ბედმა მხოლოდ ის მაღირსა, რომ ცხოვრებას შორიდან უყურო? მაშ, გაიარე, ახალო წელიწადო, თავს ვიხრი და აღარას მოველი,—აღსრულდეს ბედის წერა!

### ახალგაზრდა კაცი.

სალამი შენდა, ახალის წლის პირველო დღევ! რას მპირდები, საიდუმლო ელჩო? ამ ახალ წელიწადს ვიპოვნი თუ არა იმ ქალს რომელსაც დავეძებ და იმ სიყვარულს, რომელიც მწყურიან. ან იქნებ ის არსება და სიყვარული მხვდეს წილად, რომლისაც მეშინიან? ვინ იქნება — დედაკაცი თუ ქალწული, ცოლი თუ საყვარელი? შეიპყრობს თუ არა მთელ ჩემ სიცოცხლეს და მომანიჭებს თუ არა ოჯახის კერას და მშვიდობას? ან იქნება ცეცხლის ალით გამიტაცოს მცირეს ხნით, დამწვას და შემდეგ მოწამლულისა და დაკოდილის გულით დამტოვოს? ასეა თუ ისე, გული მეუბნება, რომ შენ, ახალო წელიწადო, წინამორბედი ხარ იმ არსებისა. ერთსა და იმავე დროს სიხარული და შიში მეპარება, წინადგრძნობა მაიმედებს, რომ მშვენიერი არსება დამეძებს, მიახლოვდება, რომ შეიძლება დღეს, ხვალ, ზეგ პირის-პირს შევხვდეთ ერთმანეთს. ვგრძნობ, რომ პირველივე შეხედვა დაგვაახლოვებს. ასე მგონია, ჩემ წინ ჰაერი სავსეა იმის ამონასუნთქით, ყოველ შრიალში იმის ტანისამოსის ხმაურობა მესმის. ოჰ, რომ შემეძლოს გონების თვალით მომავალის გაგება, ფარდის ახდა: ხომ ეხლავე დავინახავდი! შენის სახელის გაგონებაზე, ახალო წელიწადო, ჯერეთ უნახავის ქალის სახელი მესმის. ჩემის ბედის ზარმა დაჰკრა. ოჰ, გალეოტტო, მაჩვენე ჩქარა ჩემი ფრანჩესკო!

### ქმარი.

ახალის წლის დასაწყისი სამწუხაროა! ვინ მიწინასწარმეტყველებდა ამას გასულის წლის პირველ დღეს, როდესაც, საცოლოთი აღტაცებული, წამებსა ვთვლიდი? გავიდა რამდენიმე თვე და სურათი შეიცვალა. დღეს—უმნიშვნელო ნიშვნა, ხვალ—მოულოდნელი სიტყვა; ერთხელ—მცირე უთანხმოება, მეორედ—საიდუმლო გრძნობის უნებური გამომჟღავნება,—და ყველა ამან დამანახვა ჭკუა, რომლის არც ერთი აზრი ჩემსას არ უდგება, გადამიშალა გული ამაყი და ცივი, სადაც ამაოებისა და ეგოიზმის მეტი არა მოიპოვება რა. ვეხვეოდი ქალს, მაგრამ ჩემს გულზე ტიკინი აღმოჩნდა; დავთმე თავისუფლება, მაგრამ სიყვარული ვერ ვპოვე. სამწუხარო უფრო ის არის, რომ საქმეს არაფერი ეშველება, შეცდომა არ გასწორდება. მცირე იმედიც კი არსადა ბჟუტავს. კაცის გონება უძლურია, იგი სიცოცხლეს ვერ მიანიჭებს იმ მეუღლედ წოდებულს არსებას, რომელსაც ცივ გულზე ვიკრავ. როგორ დავბრმავდი, როგორ ვერ დავინახე! მერე რა ძლიერი წამებია: დღითი-დღე უბსკრული განიერდება, ერთის წლის შემდეგ უფრო შორს ვიქნებით ერთმანეთზე, ვიდრე პირველ შეხვედრის დროს ვიყავით...

ცხოვრებამ უბედურთა სიაში მომაქცია. მომავალის წლის დღენი საზარელ აჩრდილებად მეჩვენება: თვითეულს სასოწარკვეთილება, სიმწარე და ნაღველი მოაქვს. ოჰ, რა სამწუხარო დასაწყისია!

### ცოლი.

ახალის წლის დასაწყისი სამწუხაროა! ვინ მიწინასწარმეტყველებდა ამას გასულის წლის პირველ დღეს, როდესაც, საქმროთი აღფრთოვანებული, წამებსა ვთვლიდი! გავიდა მხოლოდ ორიოდე თვე და სიზმრისაგან გამომარკვია ღალატმა,—დიაღ, სამარცხვინო ღალატმა და არა ხანჯლის წვერმა! ჩემ სახლში ღალატი შემოპარულიყო: გზას უკაფავდა ერთის მხრივ მონური მორჩილება, მეორეს—საზიზღარი სიმდაბლე, რომელსაც ჩემი ეჭვიანობაც კი ვერ მისწვდენოდა. ოჰ, ბედო! სირცხვილის გამომჟღავნებას შეუშინდით, დავთანხმდი წამებას, განგებ თვალის ახვევას. ვერა ვხედავდი იმას, რაც ჩემის საკუთარის თვალით დავინახე, საიდუმლოდ ფეხ-ქვეშ ვთელავდი უკვე ტალახში ამოსვრილ ჩემ ბედნიერებას. ოჰ, ტკბილო სიყვარულო, მაინცა მწამხარ, მჯერა, რომ არსებობ! ძვირფასო მეგობარო, მოსიყვარულე და მშვიდის გულის პატრონო, მითხარ, მითხარ, სადა ხარ, დედამიწის რომელ კუთხეში? ვიცი, რომ დამეძებ, გიპოვნი და მაშინ წაიღებ მთელ ჩემ გულს, ჩემ ახალგაზრდობას, კვლავ გამიღვიძებ სიცოცხლის სიყვარულს, კვლავ დამანახვებ ადამიანის კეთილშობილ სულს. ახალო წელო, მოიყვანე იგი ჩემთან, დააყენე ჩემს გზაზე! იყავ ჩემის აღდგომისა და შურის-ძიების წელიწადად, ააყვავილე ჩემი გული ისევე, როგორც გაზაფხულზე მიწას ააყვავილებ ხოლმე!

### ახალგაზრდა დედაკაცი.

პირველი იანვარი! ეს წელიწადი შენის დაბადების წელიწადი იქნება, ჩემო ძვირფასო ბავშვო! ვინ იცის, სანამ სტუმარი გამოგვეთხოვება, იქნებ გავიგონო კიდეც, როგორ მიწოდებ პირველად ადამიანთა მეტყველების უძვირფასეს სახელს! ეს წელიწადი, ჩემო პაწიავ, სიკვდილამდე აღიბეჭდება ჩემს ხსოვნასა და გულში. ამ თორმეტის თვის განმავლობაში დედა-მიწის ზურგზედ შეიძლება ისეთი საოცარი ამბები მოხდეს, რაც არასოდეს არ მომხდარა; მაგრამ ჩემთვის უდიდესი და უმშესანიშნავესი წამი ის იქმნება, როდესაც შენ პირველ ხმას გავიგონებ. სალამი შენდა, დაუფასებელო სტუმარო, უკანასკნელო წელიწადო ჩემის ახალგაზდობის სიცელქისა და პირველო წელიწადო ჩემის მხნე და ნაყოფიერ მეფობისა!

იყავ მშვიდობის წელიწადად ადამიანთათვის, ისევე როგორც ჩემის ოჯახის სიხარულის წელიწადი იქნები. დეე, მომეწამლოს სიხარული ათასის შხამით, ოღონდ ჩემმა ბავშვმა იცოცხლოს და იხაროს! გლოცავთ თქვენ, უძილო ღამეებო, შიშისა, ტანჯვისა და სიმწარის დღეებო! არ ვინაღვლი ახალგაზრდობისა და სილამაზის დაკარგვას, თუ კი ჩემი ბავშვი ჩემთან იქმნება და ღიმილით მკერდზე მომეკვრება. ეს ახალი წელიწადი შენი წელიწადია, ჩემის ხორცისა და სისხლის ნაწილო, ჩემის სიცოცხლის იმედო, ჩემის სიყვარულის გვირ

გვინო! ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ, საიდუმლო ანგელოზო! ოჰ, სულის საუნჯევ!.. ძვირფასო!... პასუხს მაძლევს!

### პატარა მოხელე.

პირველი დღე ახალის წლისა! სამოქალაქო დღესასწაულია. მერე რათაო? ჩემთვის სულ ერთია ძველი და ახალი: როგორც ტროტუარის ერთის ქვიდან მეორეზე, ისე გადავდივარ ძველიდან ახალში. კარგად ვიცი, რომ ახალი წელიწადი ისეთივე თავმომაბეზრებელი და მოსაწყენი იქნება, როგორიც ძველი იყო; ვიცი, რომ ყოველ დილას ერთსა და იმავე საათზე ავდგები, ერთსა და იმავე ქუჩაზე გავივლი, მივალ კანცელარიაში ერთსა და იმავე საქმის გასაკეთებლად, ამხანაგებს გამოველაპარაკები ერთისა და იმავე სიტყვებით. ვიცი, რომ ყოველ თვის ოცში ვივლი საცოდავ ჯამაგირის მისაღებად; თუ არ ნაკლებს, მეტს ერთს გროშსაც არ მომცემენ. ოცამდე უწინდელებ უნდა შევიკვეცო ფრთები, ვიმარხულო, ქრისტეს მოძღვრებისამებრ მოვიკლა სხეული. ჩემთვის ყველა წელიწადი პირია ერთისა და იმავე ორიგინალისა, ამასთან მეტად სამწუხარო ორიგინალისა! მე მოძრავი კალენდარი ვარ: ყოველ საღამოს წარსულის დღის ფურცელს ვაძრობ ამ კალენდარს. ქაღალდის კალენდრისაგან მხოლოდ იმით განვირჩევი, რომ იქ ყოველ დღე საჭმელების სხვა და სხვა სიაა აღნიშნული, მე კი მთელ დაუსრულებელ წელიწადს ერთსა და იმავე საჭმელს გიახლებით. კარგი ერთი რამაა მხოლოდ: თვითეული განვლილი წელიწადი უფრო და უფრო მიახლოვებს სანატრელ პენსიონს... ოჰ, ახალო წელიწადო, სხვები საგალობლებს გიძღვნიან, მე-კი მხრების აწევითა და მთქნარებით გეგებები!

### სამკვიდროს მომლოდინე

(ლოჟინში სიგარას უკიდებს)

მოგილოცავთ, მოწყალეო ხელმწიფევ, — ვეუბნები ჩემ თავს. ნუ თუ ამ წელს უნდა დავკარგო საყვარელი ბიძა და გამოვცადო მწუხარება? ბიძა ჩემი ძალიან მოეშვა, თელის თვეობით მარტო რძით იკვებება, ძლივს ლა ჰსუნთქავს. საწყალი! მაგრამ არც ის შეიძლება, რომ კაცმა სულ იცხოვროს და იცხოვროს. — საჭიროა ერთხელ მაინც აღსრულდეს ბუნების კანონი. მერე არ იკითხავთ, რა ცხოვრებაა ბიძი ჩემის ცხოვრება! მართალია, ფული ბლომადა აქვს, მაგრამ მარტოდმარტოა, მუდამ დაღვრემილი, შიშში მყოფი, რომ სისხლი თავში არ ამივარდესო. საწყალი ბიძია! სწორედ რომ მოწყალება იქნებოდა... ოჰ, სირცხვილო! მერე, თავო ჩემო, გაჰბედავ-კი? არა, არასოდეს! ან კი რა აზრმა გამიელვა! სულ სხვაა—ყოველი დღე ცდასა და ნატვრაში გაატარო. დღეს, მაგალითად, მოვალეს უცდი, მაგრამ, ესეც კია, რომ იმის ნახვას სულაც არა ვარ მონატრული. მოვალეს არამც თუ უცდი, მეშინიან კიდეც იმისი. სულ სხვაა ბიძია... ეჰ, კაცი არ უნდა შეუდგეს ჩხრეკას, არ უნდა გამოუდგეს ადამიანის გრძნობის წვრილმანებს. კაცის გული გაუგებარი ზღვააო, სთქვა მგონი ვიღაც დიდმა მწერალმა. ჩემთვის სულ ერთია, დეე, თუნდა ათი წელიწადი იცხოვროს! შეუძლიან კი გამამდიდროს კარზე მომდგარ წლის განმავლობაში. ასე იქნება თუ ისე, იმოქმედე ახალო წელიწადო, როგორც შენი ჭკუა და გონება გასჭრის! სავსებით გენდობი: რასაც შენ გააკეთებ, ალბად ღვთის წესით გააკეთებ... რა საძაგელია ეს იაფ-ფასიანი სიგარები! გაისს საუკეთესო ჰავანას მოვწევ... ეხლა კი დროა ტანთ-ჩავიცვა,—უნდა წავიდე, მიულოცო ჩემს მოხუცს...



წმ. ცეცილია.—სურ. კაულბახისა.

### მემამულე.

მომილოცნია ახალი წელიწადი, ახალი ბედნიერებაო!— გაიძახიან დღეს დილით ყველანი. რატომაც არ უნდა მიუ-

ლოცოთ ერთმანეთს ბედნიერება? იმდენი საოცარი სასწაული ხდება ამ ქვეყნად, რომ შეიძლება ესეც მოხდეს, შეიძლება ბედნიერებაც მოგვადგეს კარზე... თუ ამ ზამთარს ჭირმა ბოლო არ მოუღო ჩემ საქონელს, თუ სიცივემ არ აახრა ხეხილის ხეები და ყინვამ არ დასძრა ვენახი, თუ გაზაფხულის ხშირმა წვიმამ არ დამილპო თივა და წყალდიდობამ არ მომტაცა ყანა; თუ გვალვამ საქონლის გამოკვება არ გააძვირა, თუ თაგვმა ნათესი არ ამოხრა და ჭიამ გული არ გამოუღრღნა ცერცვსა და კართოფილს; თუ აბრეშუმის ჭია პარკის დამზადების დროს არ გამოესალმა წუთი-სოფელს; თუ საჭიროების დროს ფული არ შემომაკლდა, როგორც შარშან იყო, ან და ფულთან ერთად მუშა ხელი არ დამაკლდება, როგორც სამის წლის წინად მოხდა; თუ ქურდები ძალიან უსინიდისოდ არ მომექცნენ და თუ უფალმა ღმერთმა სიმრთელე არ მომაკლო...— რატომაც არა? შეიძლება, რომ ბედნიერი წელიწადი დაგვიდგეს. მაშ, მოგილოცავთ ახალ წელიწადს, ახალ ბედნიერებას, ჩემო ძვირფასო მეზობლებო!

### მოხუცი მთხოვ[ა]რა.

ახალი წელიწადი! ნეტა ვეღირსები რასმეს ამ წელიწადს? შარშან ერთმა გადაკრულმა კაცმა სამიკიტნოდან გამოსვლის დროს ოქრო მომცა. იქნებ შეცდომაც მოუვიდა! ასეთ ბედნიერებას ათ წელიწადში ერთხელ ძლივს ვეღირსებით ხოლმე. ბევრს არაფერს მოველი ახალის წლისაგან. ჩვენი საქმე უკან და უკან მიდის. ყველაფერი ჩვენდა საზარალოდ გაჩნდა: ეს ტრამვაები წვრილ ფულს აღარ უყენებენ მგზავრს ჯიბეში; სახალხო სამზარეულოებმა, საქველმოქმედო თავშესაფარებმა, მათხოვრობის წინააღმდეგ საზოგადოებებმა სულ ერთიან დასცეს ჩვენი ხელობა. კარგია თუ წელს მაინც არაფერი გამოიგონეს! ეჰ, რა გძელი და დაუსრულებელი იქნება ეს წელიწადი! ვიდრე დასასრულს მიაღწევს, ვინ იცის, რამდენი კარი დაიკეტება ჩემ ცხვირ წინ, რამდენ ლანძღვას გავიგონებ მეეზოვეებისაგან, რამდენჯერ მეტყვიან უსაქმურნი,—„წადი იმუშავეო“ და რამდენი კაცი, ქალი გაივლის ჩემ წინ ისე, რომ არც-კი მოიხედავს! ყინვა, წვიმა, სიცხე, მერე ისევ ყინვა, წვიმა, სიცხე... და ადამიანთა უგულობა, შეუბრალებლობა ყოველ დროს, ყოველ დღეს. ბედნიერია დედაკაცი! მარტო მაინც არ არის, ხელში ბავშვი უჭირავს... ამ წელიწადმა ავადმყოფობა მაინც მომიტანოს, ისეთი რომელიც არ აწუხებს კაცს, მაგრამ სიბრალულს-კი იწვევს, აი როგორიც ჩემს მეგობარს კარლანდრეას ეწვია. მაგრამ არა, მე ხომ ბედნიერ ვარსკვლავზე არ დავბადებულვარ! სულ ცოტა რამესა ვთხოვ ახალ წელიწადს, მაგრამ, ვიცი, იმასაც არ ამისრულებს!..

ი. ა—მე.



უქმე დღეები პანსიონში.—სურ. სპიცერისა.

# ს ი ზ მ ა რ ი

(ვუძღვნი ქეთ. ლ. ს. ასულს ყურ...ას.)

როს ბნელ ფიქრებით გარემოცულსა
სევდისა ცრემლი მდინდა მდუღარი,
დღიურ ტანჯვებით გულ-მოწამლულმა,
ძილში ვიხილე უცხო სიზმარი.

—

გამლილს მიდამოს, თითქოს შხუილით,
ჩამოურბოდა მდინარე ჩქარი,
მაღალი კლდენი თავს დასცქეროდნენ,
ვით დარაჯი მდუმარედ მდგარი.

—

ბნელოდა ირგვლივ, აღარ მოსჩანდა
ცაზე არც მთვარე, აღარც ვარსკვლავი,
საზარელს სურათს წარმოადგენდა
წყლისა მეფობა, წყვდიადი შავი.

—

შიშმა წარიღო გრძნობა, გონება,
ვძრწოდი, კლდის ძირსა ვეფარებოდი,
მნათობთა სხივი ეპკურგებინა,
ზეცას მუხლ-მოყრით ვევედრებოდი.

—

უცებ იელვა. ჭექა-ქუხილმა
რისხვისა ნიშნად დაიგრიალა!
როს მეცლებოდა ძალი და ღონე,
იმ დროს ცამ პირი გაიკრიალა;

—

განათლდა არე, გამოველ მინდვრად,
ავხედე კლდესა, მძლავრსა, დიდებულს,
ეუბნებოდა ტკბილად ჭაბუკს,
ნათელ-სხივებით მთლად გაბრწყინვებულს:

—

„მხიარული ვარ შენი სტუმრობით,
გულით გმასპინძლობს ჩემი კალთები,
ჩემებრ გულ-წრფელად დაგხვდება ყველა
საქართველოსი ვაკე და მთები.

—

გვიყვარს სტუმარი პატიოსანი,
მისთვის მზადა გვაქვს კეთილი გული,
მხოლოდ შენც უნდა გებრალებოდეს,
ქვეყნად ტანჯული და წამებული.

—

დახე, ჩემს შვილებს წელ-მოწყვეტი-
და მას უჩვენა ჩემი თავია. [ლებს!“
„მოევლინე მათ მხსნელად, მფარველად,
საწუთრო მათთვის მეტად მწვავია“.

—

ჭაბუკი იგი, სხივით მოსილი,
მდუმარედ დიდხანს მაკვირდებოდა,
და შემდეგ: „რად ხარ ეგრე მოწყენით?“
კლდის ნაპირიდან მეკითხებოდა.

—

„მიამბე შენი სევდა, დარდები,
იქნებ შემეძლოს გიშველო რამე,
გულით მსურს ყველა ჩაგრულთა შველა,
ღმერთია ჩემი ამის მოწამე.“

—

—მრწამს შენი სიტყვა, შენი სურვილიც,
მაგრამ ვინა ხარ, გამაგებინე?
სულ ახალგაზრდა ამ დიად სახით
ჩემს მამულს სიდან გადმოევლინე?

—

„მაგას კვლავ გეტყვი, მხოლოდ ჯერ
საგანი შენის მწუხარებისა, [მითხარ
რისთვის ხარ სევდით გარემოცული
და უმადური შენის ბედისა?“

—

—ხედავ, სამშობლო, ჩემი კეკლუცი
რა რიგად არის ჩაბნელებული!
მისთვის ვარ ბედის უკმაყოფილო,
უსიხარულო, დაღონებული.

—

დიდი ხანია, რაც მის მიდამოს
დახურული აქვს შვებისა კარი,
სამხიარულო ჩანგისა ნაცვლად
აქ უკრავს და სცემს გლოვისა ზარი.

—

აქ ისმის კვნესა, ოხვრა, ვაება,
ჩემის სულ-გულის დამწყლულებელი;
და არსაიდან მაშვრალთა გმინვას
არა ჰყავს მშველი, დამხმარებელი.

—

დახე, თვით ამ კლდეს ჭაღარა წვერი
როგორ წითლად აქვს შეღებულია,
იგია ოფლი სისხლში ნარევი,
ჰქმთეს შვილთა დაქცეულია.

—

არ ერთი არი, უსამართლობის
მათგანი მსხვერპლად შეწირულია,
და ისევ ისე, კაცობრიობა
ბნელს ნისლებში გახვეულია.

—

არსით სიწრფელე, არსად გატანა,
ენა ორპირი, გული ცბიერი,
ჭეშმარიტ გრძნობით, მენდვე ჭაბუკო,
არვის ებრალვის მოძმე მშიერი.

—

მისთვის ვარ სევდით გარემოცული,
დამიჭკნა გული გაუშლელადა!
ახლა შენც მითხარ, ვინ ხარ, რა კაცი,
სიდან მოსული ჩემდა მშველადა?

—

„შვილი ვარ მძლავრის საუკუნესი,
ათას ცხრაასი მესამე წელი,
მოგცემთ ერთს რჩევას, თუ დაიჯერებთ,
იგი იქნება თქვენი დამხსნელი.

—

„ნუ დაგეკარგვისთ რწმენა, იმედი,
წმინდა ცრემლები შეიწირება,
აქ დამყარდება კაცთა მშვიდობა,
სამართლიანი ბედნიერება.

—

„მხოლოდ მოთმენით, საერთო ძალით
ებრძოლებოდეთ ჭირს, ვაგლახობას,
შესწყვიტეთ შური და მძულვარება,
თუ ეპირებით კვლავ ქართველობას.

—

„გამიკვლიეთ გზა სწორი, და მტკიცე,
შეებრძოლენით იმ მხრით ცხოვრებას,
ბეჯითის შრომით თქვენც დროთა ბრუნვა
გადმოგასხურავთ ბედნიერებას.“

—

„შესწყდება მაშინ სისხლის ცრემლები,
ოხვრა და კვნესა დამაშვრალისა!“
და ამ სიტყვებთან გაჰქრა უეცრად,
ვედარც მოვასწარ მოკვრა თვალისა.

—

ასეთის რჩევით ნუგეშცემული,
კეთილ დღეობის ნაბიჯს მოველი,
მით თქვენ უღრმესის პატივისცემით
მსურს მოგილოცოთ ახალი წელი.

კატო მიქელაძე.

# ლოცვა ყველასთვის

ვიქტორ ჰიუგოსი. თავისუფლად ნათარგმნი.

I

ილოცე შვილო!.. მშვიდი ღამეა,
მაღლით დაგვნათის მთვარე გავსილი..
სული ხალხისა აღარა დრტვინავს,
დაჰყუჩებია გულის ტკივილი.
იმ დროს, როს ჩვენა ცნობა მიხდილი
ვნქართობთ დავესწროთ დიდსა მეჯლისებს,
ბავშვი ხატის წინ დგას დაჩოქილი
და ღმობიერად ლოცვებს ტიკტიკებს.
უმდუღარცრემლოდ და სიყვარულით
სუყველასათვის ღმერთს ევედრება
მერე დაწვება და მშვიდის გულით
ცელქობაშია დაეძინება.
და ათას გვარი ტკბილი სიზმარი
მას ესიზმრება და გულსა უტკბობს,
ანგელოზს მასთან აქვს საუბარი,
მაგრამ ბავშვს სძინავს, არაფერსა გრძნობს!.

II

ილოცე, შვილო, დედიშენისთვის.
იგი შენს აკვანს დასტრფოდა გარე;
ბევრჯერ გასტეხა მან ღამე შენთვის,
ბევრჯერ მოგწმინდა ცრემლი მდუღარე.
მხურვალე ლოცვით და ვედრებითა
მან შენი თავი ცას გამოსთხოვა,
შეგამკო წრფელის თვისი გრძნობითა,
ნუგეში მხოლოდ შენშია ჰპოვა.
ილოცე ჩემთვის! მე უფრო მიჭირს.
დედაშენსავით არის გულწრფელი,
ტანჯვა-ვაება ადრეა მისთვის,
ბრძოლაში არის გამოუცდელი.
იგი არა ჰგრძნობს ქვეყნის სიავეს:
გარყვნილებასა, მტრობასა და შურს;
მის გული ზღვაა სიყვარულისა,
ძმად, მეგობრად სთვლის ყველა უბედურს.

მე ბევრი ვნახე უბედურება;
ბრძოლაში სრულად გავჭაღარავდი;
ვცან ოცნებაა ბედნიერება,
თვით დიდებასაც ფუჭად ვსახავდი.
აწ მოსვენება მინდა დატანჯულს...
ილოცე, შვილო, ყოველს ღამესა:
„ღმერთო! ჰფარვიდე შენს დაბადებულს!“
უმანკო ლოცვას ღმერთი იწირავს...
მას ესმის ბავშვის ლოცვა, ვედრება...
მერწმუნე: ქვეყნად ყველას თვის გზა აქვს...
მდინარე ზღვისკენ მიეშურება,
ფუტკარი ნაზად დასტრფის ყვავილებს,
არწივი ცაში ამაყად სცურავს,
ყორანი საფლავს თავს დასტრიალებს,—
ბავშვის ლოცვა კი ცაში მიჰფრინავს!
როს ლოცვა შენი, შვილო, ზე აღვალს,
მე მაშინ ვგევარ იმ მგზავრს დამაშვრალს,
რომელიც ტურფა გეძზედ ტვირთსა სდებს
და წამსაც არის მაინც ისვენებს;
გულზედ მეშვება, ვგრძნობ ნეტარებას,
იმ წუთს მშორდება დარდი, ნაღველი
და ქვეყნიურსა ჭმუნვას, ვაებას
აქარვებს შენი ლოცვა გულ-წრფელი!...

III

ილოცე უბედურთათვის,
ბედისგან ვინც დაღუპულან,
ვინც უზნეობის მორევში
სულით და ხორცით შთანთქმულან.
ვინც სანუგეშო წმინდა დროს,
როს ყველა ღმერთსა ადიდებს,
ღვინისაგანა დამთვრალი
ღმერთს და ქვეყანას ივიწყებს;
ნუ დაივიწყებ ლოცვის დროს
უმანკო ასულთ, პატიმრებს,
ნურც ქალთა როსკიპთ, მეძავთა,
გარყვნილებისა ქურუმებს,
ნურც იმას, ვინცა უდროვოდ
შავმა მიწამა დაჰფარა,
ვინც ცხოვრებასთან ბრძოლამა
ჯან-ღონისგანა დასცარა...
იქაც არის მწუხარება,
მკვდართ გულს უხოვს კაეშანი,
მათ უნდათ, რომ მოვაშოროთ
ამ ქვეყნიური ცოდვანი!...
ღმერთი მკვდართ და ცოცხალთათვის
ბავშვის ლოცვას შეიწირავს,
ვით სანთელი და საკმელი
თავის გზასა არ დაჰკარგავს!...

IV

შენ კი წმინდა ანგელოზო,
ჩემი შვილის მეგობარო,
გვედრი მისი უმანკოება
შენ ფრთების ქვეშ შეიფარო.
ყველგან ყოველთვის თან სდევდე,
იყავ მარად მის მფარველი
და ცხოვრების მძიმე გზაზედ
აშორე განსაცდელი.
შენი მადლით, სასწაულით
განამტკიცე მის არსება
და მოჰხვრე ამა ქვეყნად
სამოთხის ბედნიერება!

ი. ბაქრაძე

# ლამაზი და მახინჯი

(ვითომდა საახალწლო ზღაპარი)

## I

იყო ორი მეგობარი. ერთს ერქვა სანიკო, მეორეს ვანიკო. ორივენი მდიდრები და უცოლოები იყვნენ და მოინდომეს ცოლების შერთვა. სანიკო იჭვიანი კაცი იყო, ვანიკო კი არა. სანიკო გონჯს და მახინჯს ქალს ეძებდა, რომ თვალი არავის არ დაეჭირა, არ შეეშურა იმისი ცოლი, ვანიკო კიდევ ლამაზს და მშვენიერს. ხშირად ბაასი და კამათი მოსდიოდათ ხოლმე საბედოების დათვალიერებასა და არჩევაზე: სანიკო გაიძახოდა, რომ გონჯ და მახინჯს ხელს არავინ ახლებს, კარგად შემენახებაო; ვანიკო კიდევ არწმუნებდა, რომ ქალი, ლამაზია თუ მახინჯი, ორივ ერთია: თუ მოინდომებენ, ქმარს სხვაზე ადვილად გასცვლიან; გონჯის ცურებას ისევ ლამაზის მზერა სჯობიაო...

აზირებულმა მეგობრებმა თავიანთი აზრები ერთმანეთს ვერ შეურიგეს და სანაძლეო დასდვეს: შევირთოთ ცოლები, ვისაც როგორი მოსწონს, მათ საქციელს თვალყური ვადევნოთ, ვინც სანაძლეო წააგოს, ნახევარ ქონებაზე ხელი აიღოს და რომელსამე სამადლო საქმეს მოახმაროსო.

ახსენეს ღმერთი და სწორედ ახალწლის დღეს ერთად დაადგნენ ცოლების საძებნელ გზა-კვალს.

## II

იარეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთ წყაროსთან. ნახეს, ერთი ლამაზი ქალი ზის, წყლის კოკა გასტეხია და ცხარე ცრემლით სტირის.

— რადა სტირი, ქალო?—ჰკითხეს მეგობრებმა.

— კოკა გამიტყდა და მეც თავს გამიტეხს დედინაცვალი,—უპასუხა ქალმა.

— მაგაზე რა გადარდებს, - ანუგეშეს:—ჩვენ გიზღავთ რაც ჰღირს.

— თუ მაგ სიკეთეს მიზამთ და დამიხსნით დედინაცვლის მტარვალობისაგან, სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები, — შესჩივლა ლამაზმა ქალმა:—ჩემ დედინაცვალს გონჯი ქალები ჰყავს, ჩემი სილამაზე ჰშურთ... არ უნდათ იმათ შორის გამოვჩნდე და სიცოცხლეს მამწარებენ... არც მაჭმევენ, არც მასმევენ, არც მაცმევენ და არცა მხურავენ...

— მომეც ფიცი, რომ ერთგულებას გამიწევ,—წინადადება მისცა ვანიკომ ლამაზ ქალს:—მე მომწონხარ და ცოლადაც მინდიხარ.

ლამაზი ქალი სიხარულით ცას მოეწია. მისცა ფიცი: ქვეყანაზე არ ვიხარო, თუ შენ გიღალატოვო... ვანიკომ და სანიკომ წაიყვანეს ეს ქალი და წავიდნენ.

იარეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთ ქოხთან. ჰნახეს, ერთი მახინჯი ქალი ზის და ცხარე ცრემლითა სტირის.

— რა გატირებს ქალო?—ჰკითხეს მეგობრებმა.

— მა რა მაქვს საცინელი!—მიუგო გონჯმა:—ჩემ თავ-ბედს ვსტირი და ვიწუხებლი, ნეტავ რად გამაჩინა ღმერთმა, რომ ყველას ვეჯავრები!...

— რა იყო, რა ამბავია?

— ჩემ დედინაცვალს ლამაზი ქალები ჰყავს და მოსვენებას არ მაძლევენ: შენ სიმახინჯეს ვერ ვუყურებთო, გულ-მუცელს გვიმღვრევო... სახლიდან გამომაგდეს...

— მომეც ფიცი, რომ ერთგულობას გამიწევ,—უთხრა სანიკომ,—მე შენისთანას დავეძებ და შეგირთავ ცოლად.

მახინჯ ქალს ხუმრობა ეგონა, მაგრამ რომ დააჯერეს, სიხარულით ცას მოეწია და მისცა ფიცი: ღმერთმა მიღალატოს, თუ შენ გიღალატო...

ორივემ, ვანიკომ და სანიკომ, მოჰკიდეს ხელი თავ-თავიანთ საცოლოებს და წამოიყვანეს სახლში დასაქორწინებლად.

## III

აღარ დააგვიანეს და მალე დიდის ამბით გადიხადეს ქორწილი. გადიხადეს ქორწილი და შეუდგნენ კიდეც ცოლების გამოცდას.

— მე რამდენისამე თვით თეირანში მივალ სავაჭროზე და, აბა ვინძლო, ოჯახი კარგად შემინახო!—განგებ უთხრა ვანიკომ თავის ლამაზ ცოლს:—დავბრუნდები და საჩუქარიც შენ გიხაროდესო...

— მე რამდენისამე თვით სტამბოლში მივალ საქონელზე და, აბა ვინძლო, ოჯახი კარგად შემინახო!—აგრეთვე განგებ უთხრა სანიკომ თავის მახინჯ ცოლს:—დავბრუნდები და საჩუქარიც შენ გიხაროდესო...

ცოლებმა აღთქმა მისცეს და გზა დაულოცეს. ვანიკო და სანიკო არც წავიდნენ და არც არაფერი: მათხოვრის ტანისამოსი ჩაიცვეს და შორი-ახლო თვალყურის დევნა და ზვერა დაუწყეს ცოლებს.



ზამთარი.—სურ. შილდერისა.

## IV

ჯერ ლამაზ ცოლის გამოცდა მოინდომეს. ბევრს ეცადნენ, ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ვერა და ვერ დაიჭირეს კუდიანობაში. ბოლოს, ჰნახეს, რომ ღამე ვიღაც ახალგაზდა სოვდაგარი ხელში ხურჯინით შევიდა ლამაზთან და განთიადს გამოვიდა ხელცარიელი.

— ეგეც შენი ლამაზი ცოლი!—ნიში მიუგო სანიკომ ვანიკოს: - ხომ გითხარი, მოტყუვდები მეთქი... ვენაცვალე, ჩემ გონჯ ცოლს!..

— მართალია, სანაძლეო წავაგე.—გამოტყდა წელმოწყვეტილი ვანიკო:—წამო, ეხლა შენი გონჯი ცოლი ვნახოთ...

წავიდნენ. ბევრს ეცადნენ, ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. ბოლოს, ნახეს, რომ ღამე ვიღაც დატაკი კაცი ხელცარიელი შევიდა მახინჯთან და განთიადს ხურჯინით გამოვიდა...

— ეგეც შენი გონჯი ცოლი!—ახლა ნიში ვანიკომ მიუგო:— ხომ გითხარი, სულ ერთია მეთქი... ეხლა ხომ გჯერა?..

— მაინც ჩვენში ვინ უფრო მოგებული?—მწარედ დაეკითხა სანიკო.

— მე,—სიცილით უპასუხა ვანიკომ:—ჩემ ცოლთან ხურჯინით საჩუქრები მიჰქონდათ მაინც... შენ კი, შენმა ცოლმა გაგაძარცვა: თუ არ ფულით, ვის მოჰხიბლავდა შენი მახინჯი ცოლი?.. ვერ იცანი შენი ხურჯინი?!.

ხახა მშრალი დარჩა სანიკო: მართლაც და ისე გაეძარცვინა მახინჯ ცოლს, რომ არამცთუ წაგებულ სანაძლეოს გარდახდა არ შეეძლო, ქოხიც აღარა ჰქონდა, რომ თავი შეეფარებინა.

დუშელი ვანო.

# ნარევი

დამნაშავეთა ოჯახი. ბალტიის მხარეს მცხოვრებნი ძლიერ ჰდევნიან ყოველ-გვარ ცუდ-კაცობას და, თუ ვისმე შენიშნეს ასეთი რამ, აითვალწუნებენ და სიცოცხლეს კაუშირებენ. აი როგორი სასჯელი მოუგონიათ ერთს სოფელში ერთი ოჯახისათვის, რომლის მამას რამდენჯერმე სასჯელი მოუხდია დანაშაულობისათვის; ცოლს თურმე ცეცხლის წაკიდებას აბრალებენ და სატქმე გამომძიებლის ხელშია და 12 წლის ვაჟიც ქალაქ რიგაშია მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ სახლში.

საზოგადოებას პირობა შეუკრავს და მთელს სახლობას ყველგან გზა შეუკრეს: არც სახლი მისცეს, არც ხმა გასცეს და იქამდე მიიყვანეს, რომ ახალ-გაზდა ცოლ-ქმარი სოფელს გარედ გასულ და იქ ერთ ფერდობის ძირში ღრმა გაუთხრია გვირაბივით, სადაც უნდა ზამთარი გაატარო. ამ გვირაბში ფეხიც გაუმართავთ ცოლ-ქმარს, ზემოდან ტოტები და ჩალა დაუფენიათ და, შორიდან რომ შეხედოს კაცმა ამ მოსახლობას, ლამაზადაც გამოიყურება, სწერს ერთი ადგილობრივი გაზეთი. მაგრამ იმას-კი არ მოგვითხრობს ეს გარეგანი სილამაზე რამდენად შეეთანხმება ამ ცოლ-ქმრის შინაურ მდგომარეობას.

სასტიკი, მაგრამ სამართლიანი ხერხი სცოდნიათ ცუდ-კაცობის წინააღმდეგ ბალტიის მხარეს მცხოვრებთ.



1.—ოჰ, რამ მოგიყვანა ამისთანა ბაღში? ვინ შენ და ამ ბაღში?!

2.—მგლოვიარედა ვარ, ცოლი გარდამეცვალა.

## ხუნელის დეპუტაცია



— თქვენო აღმატებულებავ! რასაკვირველია თქვენ გეცოდინებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს რომელისამე ადგილის ეკონომიურ განვითარებას, გეცოდინებათ, რა პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენს დაბა ხონს, ამისათვის საჭიროა რკინის გზის გაყვანა. თუ რკინის გზას არ გაიყვანთ, გთხოვთ ხიდი მაინც გაგვიკეთოთ, რომელსაც 1,216,742 მ. 39 კ. უნდება. ჩვენი საზოგადოება იმდენად დაინტერესებულია ამ ხიდის გაკეთებით, რომ თავისუფლად გამოვიღებთ 42 მ. 39 კ., ოღონდ კი ხიდი გააკეთდეს.



ძალიან მიყვარს, როდესაც ქალს მსუქანი ქმარი ჰყავს: ყოველთვის მადიანად სჭამს ყველაფერს, რაც უნდა მიუტანო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**.


ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.**

1903 წლის ხელის მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

**შოთა რუსთაველისა**

სამოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

**„მოამბე“**

**წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.**

**„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით**

**„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნებათ**


ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.